მემორანდუმი

„რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის აგროტურიზმის განვითარების ასოციაცია“და
ონის მუნიციპალიტეტის ორგანოების ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ონი
1ივლისი 2022

პრეამბულა

ერთის მხრივ, „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის აგროტურიზმის განვითარების ასოციაცია“, წარმოდგენილი თავმჯდომარის იოსებ გეწაძის სახით და მეორე მხრივ,ონის მუნიციპალიტეტის მერი სერგო ხიდეშელი, წარმოდგენილი ონის მუნიციპალიტეტის „მხარედ“, წოდებული, ადასტურებენ რა საქართველოს დეცენტრალიზაციის სტრატეგიაში დასახული ამოცანების:გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის დანერგვისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში მაღალი ხარისხის ჩართულობის ხელშეწყობის აუცილებლობას, აცნობიერებენ რა ამისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი სამოქალაქო სექტორისა და თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლობის მნიშვნელობას;გამოთქვამენ სრულ მზადყოფნას მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ დონეზე ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უფრო მაღალი სტანდარტების დანერგვაში;

მხედველობაში იღებენ, რომ „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის აგროტურიზმის განვითარების ასოციაცია“ შეირჩარაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის რეგიონშიკონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი-CTC-ს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში „რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციები მუნიციპალური გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების მხარდასაჭერად“, რომელიც ხორციელდება კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის მიერ ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ (STAR Initiative) ფარგლებში;საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმით (შემდგომ -„მემორანდუმი“) თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი I. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია საქართველოს მთავრობის 31/12/2019-ის დადგენილებით დამტკიცებული დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025-ის შესაბამისად ონის მუნიციპალიტეტის ორგანოებში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით, კონკრეტულად, 2022 წლის დასრულებამდე ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის 2021 წლის შეფასებით სრულად ან ნაწილობრივ დაუკმაყოფილებელიკრიტერიუმების მაჩვენებლების გაუმჯობესება საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების, ელექტრონული მმართველობის, მოქალაქეთა მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების კუთხით.

მუხლი 2. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მემორანდუმით გავალისწინებული მიზნების მისაღწევად მხარეთა თანამშრომლობის პრინციპების, ფორმებისა და უფლება-მოვალეობების განსაზღვრა.

მუხლი 3. თანამშრომლობის პრინციპები და ფორმები

3.1. მხარეთა შორის თანამშრომლობა ეფუძნება ურთიერთპატივისცემის, თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

3.2. მხარეები გამოხატავენ ნებას, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, მიაწოდონ ერთმანეთს ყველა საჭირო ინფორმაცია სამუშაო პროცესში წამოჭრილი ნებისმიერი სირთულის შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებაზე.

3.3. მხარეები იცავენ კონფიდენციალურობის პრინციპს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

3.4. მხარეთა შორის თანამშრომლობა მოიცავს ინფორმაციის გაცვლას, რეკომენდაციების მიწოდებას, კონსულტაციას, საჯარო სივრცით სარგებლობას.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის აგროტურიზმის განვითარების ასოციაცია“იღებს ვალდებულებას:

4.1.1. მუნიციპალიტეტს წარუდგინოს ინფორმაცია პროექტის დაგეგმილი საქმიანობებისა და მათი განხორციელების მიმდინარეობის შესახებ, თვითმმართველობის ინდექსის მიხედვით მერიის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები;

4.1.2. მუნიციპალიტეტს წარუდგინოს რეკომენდაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კუთხით ფუნქციების სამუშაო აღწერილობებში ასასახად.

4.1.3. მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ, ფუნქციურად პასუხისმგებელპირებსმისცეს შესაძლებლობა მიიღონ მუნიციპალური გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების ინდექსთან მიმართებით შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება.

4.1.4. მუნიციპალური გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების ინდექსის მაჩვენებლის ამაღლების მიზნითდაეხმაროს მუნიციპალიტეტს საჯარო ინფორმაციის შეგროვებისა და გამოქვეყნების კალენდარის შექმნაში.

4.1.5. გაუწიოს კონსულტაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის სამუშაო ჯგუფის წევრებს ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის გაუმჯობესების ღონისძიებათა მუნიციპალური გეგმის მონიტორინგის თაობაზე და თავადაც განხორციელოს დაკვირვება გეგმის შესრულების მიმდინარეობაზე.

4.2 მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას:

4.2.1.განსაზღვრონ გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კუთხით ფუნქციურად პასუხისმგებელი პირები, რომლებიც გადამზადდებიან და აქტიურად და კომპეტენტურად ჩაერთვებიან მუნიციპალური გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების ინდექსის მაჩვენებლის გაუმჯობესებისთვის დაგეგმილ ღონისძიებებში.

4.2.3. ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის შეფასებისა და თვითშეფასების შედეგების მიხედვით, ისარგებლონ და მხედველობაში მიიღონ „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის აგროტურიზმის განვითარების ასოციაციის“ კონსულტაციები, ანგარიშები, რეკომენდაციები;

მუხლი 5. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

მემორანდუმში მხარეთა ურთიერთშეთანხების საფუძველზე შესაძლებელია ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რომელიც ფორმდება წერილობით. იგი წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 6. დავის გადაწყვეტის წესი

მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

ფორსმაჟორის გამო წინამდებარე მემორანდუმით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არასრულად შესრულების შესახებ, მხარემ მეორე მხარეს დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება.

მუხლი 8. სხვა დებულებები

8.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს პროექტის დასრულებამდე - 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

8.2. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ან ერთ-ერთი მხარის ინიციატივით სათანადო დასაბუთებით. მემორანდუმის შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ აცნობოს მეორე მხარეს მემორანდუმის შეწყვეტამდე არაუგვიანეს ერთი თვისა. მხარეებმა უნდა განახორციელონ ყველა აუცილებელი მოქმედება მემორანდუმის ფარგლებში დაწყებული საქმიანობების დასასრულებლად.

8.3. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ

მუხლი 9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის აგროტურიზმის განვითარების ასოციაცია	ონის მუნიციპალიტეტის მერი
ამბროლაური, კოსტავას ქ. 42	ონი,აღმაშენებლის ქ. #40
ასოციაციის თავმჯდომარე --- იოსებ გეწაძე	მუნიციპალიტეტის მერი --- სერგო ხიდეშელი